ვიზალიბერალიზაციის საკითხი და ქართველი მეცნიერი მიხეილ მუსხელიშვილი[1]

ლელა სარალიძე
ისტორიის დოქტორი, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: lelasaralidze@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0009-0008-5173-7906

აბსტრაქტი: ნაშრომში, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, ახალი საარქივო დოკუმენტების, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურისა და ფრანგული პრესის მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია ვიზალიბერალიზაციის იდეის ფორმირების საწყისი ეტაპი და დადგენილია მისი ინტელექტუალური ჩამოყალიბების პროცესში ქართველი მეცნიერის მიხეილ მუსხელიშვილის როლი.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, როგორ უკავშირდება მ. მუსხელიშვილის მეცნიერულ-თეორიული არგუმენტაცია პრაქტიკულ-პოლიტიკურ ინიციატივებს და რა მნიშვნელობა აქვს მის ღვაწლს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის. მიხეილ მუსხელიშვილი (მიშელ მუსხელი; 1903–1964) — ქართველი ემიგრანტი იურისტი, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ევროპული ფედერალიზმის ერთ-ერთი ადრეული თეორეტიკოსი — იმ იშვიათ ფიგურათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა საქმიანობა ქართულ ინტელექტუალურ ტრადიციასა და დასავლურ აკადემიურ სივრცეს ორგანულად აერთიანებს. მისი აკადემიური და საზოგადოებრივი საქმიანობა მიმართული იყო ევროპული ერთიანობის იდეის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების ფორმირებაზე.

მ. მუსხელიშვილი სტუდენტურ მარშს სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის რანგში ხელმძღვანელობდა, სადაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1932 წელს მან საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და ფრანგულ ინტელექტუალურ სივრცეში მიშელ მუსხელის (Michel Mouskhély) სახელით ინტეგრირდა (Journal officiel de la République française, 22 mai 1932). 1959 წლის ივლისში, სტრასბურგის უნივერსიტეტში, მ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევის ცენტრი (Centre de recherches sur l'U.R.S.S. et les pays de l'Est) შეიქმნა, რომელიც დასავლეთ ევროპაში სოვეტოლოგიური კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან აკადემიურ პლატფორმად იქცა (Revue française de sociologie, №1-2, 1960, pp. 221–222). სტრასბურგის უნივერსიტეტში მ. მუსხელიშვილს მოიხსენიებდნენ როგორც „ჩვენი ქართველი" ("Notre Géorgien"). (Extraits d'une lettre de M. Pierre Winkler, Consul Général de France du 9 Mai, Service des archives Institut Lebel, bureau 037 H, le dossier personnel de Michel Mouskhély, L'Université de Strasbourg).

კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა ევროპული ინტეგრაციის სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა დასაბამი 1957 წლის რომის ხელშეკრულებაში უნდა ვეძებოთ. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ თავისუფალი გადაადგილების იდეა მხოლოდ ინსტიტუციური განვითარების შედეგი არ არის — მას წინ უსწრებდა სამართლებრივი ნორმებისა და ინტელექტუალური დისკურსის მთელი რიგი, რომელთა ფორმირებაში მუსხელიშვილის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 1950 წლის 6 აგვისტოს საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე, სენტ-გერმანსჰოფში ორგანიზებულ სტუდენტურ მარშზე, რომლის ერთ-ერთი ინიცია-

[1] კვლევა [HE-22-239] დაფინანსებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მიერ.

ტორი და იდეოლოგი სწორედ მიხეილ მუსხელიშვილი იყო. აღნიშნული აქცია, რომლის მთავარი ლოზუნგი იყო „ევროპა არის აწმყო“, სიმბოლურად გამოხატავდა საზღვრების გაუქმებისა და თავისუფალი გადაადგილების იდეას, რაც და შესაძლოა ვიზალიბერალიზაციის კონცეპტუალურ წინამორბედად განვიხილოთ.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის რეჟიმი 2017 წლის 28 მარტს ამოქმედდა, რაც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა შეფასდეს. ვიზალიბერალიზაცია, როგორც თანამედროვე ევროპული პოლიტიკის ინსტრუმენტი, მხოლოდ XXI საუკუნის ფენომენად არ უნდა განიხილებოდეს. იგი უფრო ადრეულ ინტელექტუალურ და პოლიტიკურ იდეებს ეფუძნება, რომელთა ჩამოყალიბებაში ქართველ მეცნიერს მიხეილ მუსხელიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ეს გარემოება საქართველოს ადგილს ევროპული ინტეგრაციის ისტორიულ და თეორიულ ნარატივში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: ვიზალიბერალიზაცია, საქართველო, ევროპული ინტეგრაცია, მიხეილ მუსხელიშვილი, სტუდენტური მარში.

* * *

შესავალი. ევროპული ინტეგრაციის სამართლებრივ და ინსტიტუციურ განვითარებას წინ უსწრებდა თავისუფალი გადაადგილების იდეის ინტელექტუალური ფორმირება, რომლის ჩამოყალიბებაში ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მეცნიერს, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტსა და სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, მიხეილ მუსხელიშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. ვიზალიბერალიზაცია ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე, მოკლევადიანი გადაადგილების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და ტურისტული ურთიერთობების გაღრმავებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, 1948 წლის მარტში, მიხეილ მუსხელიშვილისა და გასტონ სტეფანის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს, სადაც თავისუფალი გადაადგილებისა და, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ვიზალიბერალიზაციის კონცეპტუალური საფუძვლებია აისახული. კერძოდ, გათვალისწინებულია ფედერაციის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მუშახელის მიგრაციის რეგულირება, მათი თავისუფალი გადაადგილებისა და თანაბარი სამართლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა (Mouskhély, M., & Stefani, მუხლები 36–41). აღნიშნული პროექტი, სამართლებრივი თვალსაზრისით, ევროპული კონსტიტუციის პირველ პროექტად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც სათანადო საარქივო დოკუმენტებით დასტურდება (Lipgens, W., & Loth, W., გვ. 57–64).

1950 წელს, საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე, სენტ-გერმანსჰოფში ორგანიზებული სტუდენტური მარშით მ. მუსხელიშვილმა სიმბოლურად წარმოაჩინა საზღვრების გაუქმებისა და ევროპული ერთიანობის იდეა. მ. მუსხელიშვილთან ერთად აქციის ორგანიზატორები სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორები — ფრანგული ენის პედაგოგი მარსელ მილე (Marcel Millet) და ჟან სომიე (Jean Sommier) იყვნენ. ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური ჟესტი; იგი წარმოადგენდა მშვიდობიან სოციალურ და კულტურულ გზავნილს, რომელიც მიზნად ისახავდა საზღვრის, როგორც გამყოფი ხაზის აღქმის, ტრანსფორმაციას. სტუდენტური მარში მიზნად ისახავდა საზღვრის, როგორც მკაცრი სუვერენული გამიჯვნის ხაზის გადაფასებას და მის გარდაქმნას ერთიანი ევროპული სივრცის კომპონენტად.

შემდეგში, 1957 წლის რომის ხელშეკრულებამ ნორმატიულ დონეზე დააფიქსირა სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი და საერთო ბაზრის შექმნის მიზანი, რითაც თავ-

დაპირველად ინტელექტუალურ დისკურსსა და სიმბოლურ აქტებში გამოხატული იდეა ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ 1950 წლის სტუდენტური მარშის ისტორიულ კონტექსტს და მის სიმბოლურ დატვირთვას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მიხეილ მუსხელიშვილის როლს ევროპული იდეის პოპულარიზაციაში, 1950 წლის 6 აგვისტოს მოვლენების რეპრეზენტაციას როგორც მნიშვნელოვან სიმბოლურ აქტს ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში და სტუდენტური მარშის მნიშვნელობას, როგორც ადრეულ პრეცედენტს თავისუფალი გადაადგილებისა და ვიზალიბერალიზაციის განვითარებისთვის.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება ისტორიულ-შედარებით და ემპირიულ მეთოდებს, რაც საკვლევი მასალის კრიტიკულ ანალიზსა და გააზრებას გულისხმობს. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საარქივო მასალების, პრესის სტატიების, საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი პოლიტიკოსების მოხსენებების, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაცემების კომპლექსური, ინტენსიური ანალიზი. დამატებით, განხორციელებულია პოლიტიკური მონიტორინგი და ფაქტობრივი ინფორმაციის შედარებითი შეფასება.

მსჯელობა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომი პერიოდი ევროპისთვის ურთულესი გამოწვევებით იყო აღსავსე. გერმანია დამარცხდა, მისი ტერიტორია დაყოფილი იყო საოკუპაციო ზონებად, ეკონომიკა ნადგურდებოდა, ხოლო პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა პრაქტიკულად არ არსებობდა. ომის შემდგომი ევროპული საზოგადოება დაზიანებული იდენტობის, სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების და კოლექტიური ტრავმის შედეგებს განიცდიდა.

ამ ვითარებაში სტუდენტობა, მოქალაქეობრივი პრინციპების რეალიზებაში, აქტიურ მონაწილეებად განიხილებოდა. ისინი წარმოდგენას ქმნიდნენ იმ სოციალურ ურთიერთობებზე, რომლებიც ღირსებას, პოლიტიკურ პასუხისმგებლობასა და საზღვრის მიღმა თანამშრომლობას ემყარებოდა. სწორედ ამ აქტივობის ფონზე, ქართველმა ემიგრანტმა მეცნიერმა, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა, გერმანიის როლი მომავალ ევროპულ გაერთიანებაში მნიშველოვნად მიიჩნია. მისი აზრით, ევროინტეგრაციის იდეის განხორციელება არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ კულტურულ და ინტელექტუალურ ინტეგრაციას მოითხოვდა.

მ. მუსხელიშვილმა თავის თანამოაზრე პროფესორებთან — მარსელ მილესთან (Marcel Millet) და ჟან სომიესთან (Jean Sommier) ერთად — საფრანგეთ–გერმანიის საზღვარზე სტუდენტური მარში დაგეგმა. მარშის საშუალებით ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ პრაქტიკულად განეხორციელებინათ ევროპულ ერთიანობაზე ორიენტირებული იდეები, მათ სიმბოლურად გადალახეს საზღვარი და საერთო ევროპული ინტელექტუალური სივრცის ჩამოყალიბებაში საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს.

1950 წლის 6 აგვისტოს, სენტ-გერმანსჰოფი საერთაშორისო საზოგადოების და ევროპული პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. აღნიშნულ დღეს, ცხრა ქვეყნის დაახლოებით 300 სტუდენტის მონაწილეობით, ევროპული მარში განხორციელდა. მიზანი ომისშემდგომი ნაციონალური დაყოფის სიმბოლური უარყოფა და ევროპული ინტეგრაციის იდეის პოპულარიზაცია იყო (Les Dernières nouvelles d'Alsace, 1950, გვ. 10). ორგანიზატორებმა ეს თარიღი შეგნებულად შეარჩიეს, რადგან 1870 წლის ვიორთის (ფროშვილერის) ბრძოლას უკავშირდებოდა, სადაც საფრანგეთის ჯარი პრუსიის არმიასთან დამარცხდა.

ფრანგი ისტორიკოსი დიდიე ფიშერი (Didier Fischer) აღნიშნავს, რომ 1945–იან წლებში და შემდგომ, სტუდენტური სკოლები და უნივერსიტეტები სწრაფად გარდაიქმნენ როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი ექსპერიმენტის სივრცედ, სადაც ახალგაზრდები ნაციონალური სახელმწიფოს ფორმებს კრიტიკულად აფასებდნენ და ევროპული თანამშრომლობის გაღრმავებასა და საერთო ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებას აქტიურად უწყობდნენ ხელს (Fischer, D., 2000, გვ. 48–52).

სენტ-გერმანსჰოფის 1950 წლის 6 აგვისტოს სტუდენტური მარშის დეტალური და ვიზუალური აღწერა წარმოდგენილია ფრანგულ ილუსტრირებულ ჟურნალში — "Point de vue, Images du monde" („თვალსაზრისი, მსოფლიოს სურათები“) ("Point de vue, Images du monde: le journal des princes d'aujourd'hui", 1950, გვ. 22–23).

1950 წლის 17 აგვისტოს, გამოქვეყნდა სტატია სენსაციური სათაურით — „სტუდენტები და სახელმწიფო მოღვაწეები ევროპის სასაზღვრო ბოძებს წვავენ“, რაც სტუდენტური აქციის პრესაში გაშუქებას სენსაციურ და სიმბოლურად დატვირთულ ელფერს სძენდა. ჟურნალში წარმოდგენილი ფოტორეპორტაჟი ქრონოლოგიურად ასახავს დემონსტრანტთა გადაადგილებას ჰაგენაუს ტყიდან სენტ-გერმანსჰოფის მიმართულებით და ხაზს უსვამს აქციის სიმბოლურ, დრამატულად დატვირთულ ეპიზოდებს, მათ შორის საბაჟო ბარიერის დემონტაჟს, რომელიც ევროპული ერთიანობის იდეის მხარდასაჭერად, სიმბოლურ ქმედებას წარმოადგენდა. აღნიშნული ფოტორეპორტაჟი მნიშვნელოვან ნარატიულ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი არა მხოლოდ ღონისძიების ქრონოლოგიას ასახავს, არამედ აჩვენებს, თანამედროვის თვალით როგორ გაშუქდა სტუდენტური მარში მედიის საშუალებით, რომელიც ერთიანი ევროპის იდეის საჯარო და სიმბოლური მანიფესტაცია იყო.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიხეილ მუსხელიშვილის როლს. პრესაში გამოქვეყნებული ფოტომასალა და ტექსტური აღწერა ნათლად აჩვენებს, რომ მარში არა სპონტანური პროტესტი, არამედ წინასწარ დაგეგმილი და სიმბოლურად გათვლილი პოლიტიკური აქცია იყო, რომლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მ. მუსხელიშვილი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა. მედიაში ასახული მასალა წარმოაჩენს მის აქტივობას ევროპული ფედერალისტური იდეის პრაქტიკულ გამოხატვად, ახალგაზრდული ინიციატივის ფორმად, რომელიც ევროპულ ინსტიტუციურ დისკურსზე გავლენას მიზანმიმართულად ახდენდა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტურ აქციაში მონაწილეობდა 20 წლის ჰელმუტ კოლი (Helmut Kohl) — მომავალი ფედერაციული გერმანიის კანცლერი (Defrance, 2022, გვ. 23).

სენტ-გერმანსჰოფის აქციიდან თანამედროვე ევროპულ ვიზალიბერალიზაციამდე გზა ცხადყოფს, რომ მ. მუსხელიშვილის იდეები პრაქტიკულად ახალგაზრდული ინიციატივის მეშვეობით განხორციელდა. აქციაზე გაჟღერებული მოწოდებები და სტუდენტების აქტივობა წარმოადგენდა კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მშვიდობა ევროპაში ვერ დამყარდებოდა მხოლოდ სახელმწიფოების ძალთა ბალანსით — აუცილებელი იყო სუვერენიტეტის ნაწილობრივი გადანაწილება სუპრანაციონალურ ინსტიტუტებზე (Fischer, 2001, გვ. 53).

1950 წლის 6 აგვისტოს, საფრანგეთ–გერმანიის საზღვარზე, სენტ-გერმანსჰოფში (ვისემბურგის რეგიონი), განხორციელებული სტუდენტური მარში ევროპული ფედერალისტური მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტად მიიჩნევა. აქცია მხოლოდ ფიზიკური ბარიერის დემონტაჟის სიმბოლო არ ყოფილა; იგი ევროპული ინტეგრაციის იდეის საჯარო და პრაქტიკულ დემონსტრირებას წარმოადგენდა. სტუდენტებმა აჩვენეს, რომ ევროპა, რომელიც მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის შეუზღუდავ პრინციპს ეფუძნება, მდგრადი და ფუნქციონალური პოლიტიკური ერთობის სახით, ვერ ჩამოყალიბდება (Heister, 2015, გვ. 28–30).

აღნიშნული მოვლენა საშუალებას გვაძლევს, საკითხი ისტორიული მეხსიერების კონტექსტში განვიხილოთ. სტუდენტური მარშის თარიღის სიმბოლური დატვირთვა შეიძლება გაანალიზდეს ფრანგი ისტორიკოსის, კოლექტიური მეხსიერების კვლევის ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსის პიერ ნორას მიერ ჩამოყალიბებული „მეხსიერების ადგილის“ (lieux de mémoire) კონცეფციის ფარგლებში. პ. ნორას მიხედვით, „მეხსიერების ადგილი“ არის სიმბოლური კვანძი, სადაც ისტორია და კოლექტიური მეხსიერება ერთმანეთს ერწყმის და კონკრეტულ სივრცესა თუ თარიღს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს (Nora, 1989, გვ. 7–9).

ამ თეორიული პერსპექტივიდან, 1950 წლის 6 აგვისტოს მარში შეიძლება განვიხილოთ როგორც „მეხსიერების ადგილი“. აღნიშნული თარიღი ემთხვევა ვიორთის ბრძოლას (6 აგვისტო 1870), რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომის ერთ-ერთ გადამწყვეტ ეპიზოდს წარმოადგენდა. ამ ბრძოლამ მნიშვნელოვნად დაასუსტა საფრანგეთის სამხედრო პოზიციები და გერმანიის გაერთიანების პროცესს ხელი შეუწყო. მისი კულმინაცია, 1871 წლის 18 იანვარს, ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში, გერმანიის იმპერიის გამოცხადება იყო. ვერსალის სასახლე შემდგომშიც იქცა ევროპული ძალაუფლების პოლიტიკის სიმბოლოდ. სწორედ, ამავე სივრცეში, 1919 წლის 28 ივნისს, ვერსალის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დასასრული სამართლებრივივად გააფორმა. ამგვარად, ერთი და იგივე ადგილი როგორც გერმანიის იმპერიული ტრიუმფის, ისე მისი სამხედრო მარცხის იურიდიული გაფორმების სიმბოლოდ იქცა.

ამ ისტორიული კონტექსტის ფონზე, 1950 წლის სტუდენტური მარში შეიძლება შეფასდეს როგორც წარსულის კონფლიქტური მეხსიერების ტრანსფორმაციის მცდელობა. თუ 1870 წლის 6 აგვისტო ძალის პოლიტიკისა და ნაციონალური სახელმწიფოს კონსოლიდაციის ნიშანი იყო, 1950 წლის 6 აგვისტო, უკვე საზღვრების გადალახვისა და ევროპული თანამშრომლობის სიმბოლოდ იქცა. სტუდენტთა ქმედება არა მხოლოდ ფიზიკური ბარიერების დემონტაჟს წარმოადგენდა, არამედ ინტელექტუალურ და ემოციურ რეპრეზენტაციას — მცდელობას, ისტორიული ტრავმა ახალი პოლიტიკური იდეის საფუძვლი გამხდარიყო.

მეხსიერების პოლიტიკური თეორიების ანალიზის საფუძველზე, 1950 წლის 6 აგვისტოს სტუდენტური მარშის ისტორიული მეხსიერების რეპრეზენტაცია, პრესის მასალების მიხედვით აჩვენებს, რომ აქცია იყო არა სპონტანური მოვლენა, არამედ ორგანიზებული, წინასწარ დაგეგმილი და სიმბოლურად დატვირთული პოლიტიკური ქმედება, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული იყო ევროპული ერთობის ტრანსნაციონალურ ნარატივთან.

სტუდენტური მარშის ორგანიზებაში მიშელ მუსხელი გამოირჩეოდა არა მხოლოდ როგორც ლიდერი, არამედ როგორც სტრატეგი, რომელმაც აქციის პოლიტიკური მნიშვნელობა წინასწარ განსაზღვრა. მისი ხედვა შეეხებოდა: 1. ევროპის საზღვრების სიმბოლურ მოხსნას; 2. ევროპული მოქალაქეობის იდეის პოპულარიზაციას; 3. ევროპული კონსტიტუციის შექმნის მიზნით, ახალგაზრდების მობილიზაციას.

1950 წლის 6 აგვისტოს სტუდენტური მარში, რომელიც მიზნად ისახავდა ერთიანი ევროპის იდეის მხარდაჭერას, აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს. 2007 წელს, რომის ხელშეკრულების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, სენტ-გერმანსჰოფში ევროპული მემორიალი გაიხსნა, რომელიც სტუდენტურ მარშს და პროევროპულ აქტივიზმს მიეძღვნა (Nouvelles d’Alsace (2007, September 6).

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, სტუდენტური მარშიდან 69 წლის შემდეგ, 1950 წლის 6 აგვისტოს სტუდენტური მარშის თემასთან დაკავშირებით, ბრიტანულმა ტელეკომპანია ბი-ბი-სიმ (BBC) დოკუმენტური ფილმი გადაიღო ("Student demonstration in 1950 –St. Germanshof"; „1950 წლის სტუდენტური დემონსტრაცია — სენტ-გერმანსჰოფი“), რომელსაც ისტორიული მეხსიერების რეპრეზენტაციის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს (Broadcasting Corporation (BBC) (2019, December 12). Student demonstration in 1950 – Landgasthof St. Germanshof [Video]. YouTube). დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირები, ამ მოვლენების თვითმხილველი მათიას ჰეისტერი და მისი მეუღლე არიან. ისინი ისტორიული მეხსიერების ჭრილში განიხილავენ სტუდენტური მარშის სიმბოლიკას, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ევროპული ფედერალიზმის პოპულარიზაციის მნიშვნელობას. ამ გზით ტექსტუალური და აუდიოვიზუალური წყაროები ერთმანეთში ინტეგრირდება და ხაზგასმით აჩვენებს ახალგაზრდობის როლს ევროპული ერთიანობის პროცესში.

ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდული იდეალიზმი და ინტელექტუალური ინიციატივა გადაიზარდოს მოვლენად, რომელმაც ევროპის პოლიტიკურ განვითარებაზე

შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. მ. მუსხელიშვილის ინტელექტუალური დამოკიდებულება და ხედვა, ევროპული ფედერალიზმის ფორმირების პროცესში, სტუდენტების მთავარი შთაგონების წყაროდ იქცა.

დასკვნები. ამრიგად, 1950 წლის 6 აგვისტოს სტუდენტური მარში სიმბოლური პოლიტიკური აქტიდან ევროპული ინტეგრაციის იდეის საჯარო ლეგიტიმაციის მექანიზმად გადაიქცა. მიხეილ მუსხელიშვილის როლი ამ პროცესში წარმოადგენს ინტელექტუალური კონცეფციის პრაქტიკულ რეალიზაციას და ევროპული ფედერალიზმის იდეის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. მ. მუსხელიშვილი მხოლოდ აუდიტორიის პროფესორი არ იყო. მისი როლი სტუდენტებთან ერთად ევროინტეგრაციის იდეის აქტიურ პროპაგანდაში მდგომარეობდა. მისი ხედვა ევროპული ფედერალისტური იდეების ინსტიტუციური განვითარების წინამორბედად იქცა, რაც აქციის სამეცნიერო და ისტორიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Archives d'Alsace. (n.d.). Dossier personnel de Michel Mouskhély (cote 1007W1269). Strasbourg.

Assmann, A. (2011). Cultural memory and Western civilization: Functions, media, archives. Cambridge University Press.

British Broadcasting Corporation (BBC). (2019, December 12). Student demonstration in 1950 – Landgasthof St. Germanshof [Video]. YouTube.

Craig, G. A. (1978). Germany 1866–1945. Oxford University Press.

Extraits d'une lettre de M. Pierre Winkler, Consul Général de France du 9 Mai, Service des archives Institut Lebel, bureau 037 H, le dossier personnel de Michel Mouskhély, L'Université de Strasbourg.

Defrance, C. (2022). La rencontre européenne de la Loreley (été 1951): Le rêve d'une Europe de la jeunesse. Presses universitaires de Rennes.

Fischer, D. (2000). L'histoire des étudiants en France: De 1945 à nos jours. Flammarion.

Fischer, J. (2001). European integration and student activism. Akademie Verlag.

Halbwachs, M. (1992). On collective memory (L. A. Coser, Trans.). University of Chicago Press. (Original work published 1950)

Heister, M. W. (2015). Der Studentensturm auf die Grenzen 1950 – Für ein föderales Europa: Fakten – Probleme – Hintergründe – Konsequenzen. Iduso Verlag.

Heister, M. W. (2017). Europäischer Begegnungsraum St. Germanshof/Wissembourg: Ein Projekt zur Motivation und Integration der Menschen in Europa. Bonn.

Journal officiel de la République française. (1932, May 22). Publication de naturalisation de Michel Mouskhély.

Les Dernières Nouvelles d'Alsace. (1950, August 12). Information locales: À côté de la session de l'Assemblée consultative, M. Spaak adressé un vibrant appel à 150 jeunes Européens enthousiastes (No. 190).

Les Dernières Nouvelles d'Alsace. (2007, September 6). Un mémorial européen.

Les Dernières Nouvelles d'Alsace. (2025, August 5). Il y a 75 ans, des manifestants proeuropéens faisaient tomber la barrière du poste-frontière.

Le Centre de Recherches sur l'U.R.S.S. et les pays de l'Est de l'Université de Strasbourg. (1960). Revue française de sociologie, №1-2. .

Lipgens, W., & Loth, W. (1988). Documents on the History of European Integration, Vol. 3: The Struggle for European Union by Political Parties and Pressure Groups in Western European Countries 1945–1950. European University Institute; Walter de Gruyter.

MacMillan, M. (2001). Peacemakers: The Paris Peace Conference of 1919 and its attempt to end war. John Murray.

Mayer, R. (1950, August 8). La conspiration du dimanche a réussi: Plus de 300 jeunes Européens ont détruit les barrières douanières et franchi la frontière entre la France et l'Allemagne. Les Dernières Nouvelles d'Alsace, (186), 10.

Mouskhély, M., & Stefani, G. (1949). L'Europe face au fédéralisme. Le Roux.

Nora, P. (1989). Between memory and history: Les lieux de mémoire. Representations, (26).

Point de vue, Images du monde: Le journal des princes d'aujourd'hui. (1950, August 17). Étudiants et hommes d'État brûlent les poteaux frontières de l'Europe. Paris.

Treaty establishing the European Economic Community. (1957). Rome.

Weigel, B. (n.d.). Le 6 août 1950 au Germanshof: La destruction de deux barrières douanières pour la construction de l'Europe. W Magazine, (19).